

„აბაშის წყლის კანონის“  
ტურისტული ინფრასტრუქტურის  
განვითარების ძირითადი მიმართულებები  
(კონცეფცია)

კონკურსანტი: შპს „ლ.დ. იუნიონ“



**„აბაშის წყლის კანიონის“ ტურისტული ინფრასტრუქტურის  
ბანკითარების ძირითადი მიმართულებები (კონცეფცია)**

**1. შესავალი**

„აბაშის წყლის კანიონი“ მდებარეობს მარტვილის მუნიციპალიტეტის სოფ. გაჭედელთან, მარტვილ-ჩხოროწყუს ავტომაგისტრალის მიმდებარედ. ლანდშაფტის ღირსშესანიშნაობის გარდა ზემოთხსენებული კანიონი საინტერესოა ისტორიული და პალეონტოლოგიური თვალსაზრისითაც. აქ იკვეთება შემდეგი ძირითადი ღირსშესანიშნაობანი: დადიანების საბანაო ადგილი, ორკასკადიანი ჩანჩქერი, ნამარხი ცხოველების ნაკვალევი და ანაბეჭდი კანიონის სანაპიროზე, დადიანების საქეიფო ადგილი და სხვა.

წინამდებარე კონცეფციაში შევცადეთ შეგვეჩინა ვიზიტორთა გადაადგილების ოპტიმალური მარშრუტი და ტურისტული ინფრასტრუქტურისათვის საჭირო შენობა-ნაგებობები, რომლებიც მაქსიმალურად მომგებიანად წარმოაჩენენ „აბაშის წყლის კანიონის“ ღირსშესანიშნაობებს და კიდევ უფრო აამაღლებდნენ მის ტურისტულ პოტენციალს. ტურისტული მარშრუტის და ინფრასტრუქტურის ობიექტების დაწვრილებითი აღწერა იხილეთ ქვემოთ.

**2. ტურისტული მარშრუტის დახასიათება**

წინამდებარე კონცეფციით, „აბაშის წყლის კანიონის“ ტურისტული მარშრუტი უნდა დაგეგმარდეს ორი მონაკვეთის სახით. პირველი მონაკვეთი წარმოადგენს მარშრუტის სახმელეთო (საფეხმავლო) ნაწილს, ხოლო მეორე – საწყალოსნო. ორივე მონაკვეთი მეტ-ნაკლებად დამოუკიდებელია და ამავე დროს ჩართულია საერთო კომპლექსში. მათი დაწვრილებითი აღწერა იხ. ქვემოთ.



## 2.1 სახმელეთო (საფეხმავლო) ნაწილი

ტურისტული მარშრუტის სახმელეთო ნაწილი სათავეს იღებს ვიზიტორთა ცენტრის შენობიდან, რომლის განთავსებაც დაგეგმილია მარტვილ-ჩხოროწყუს ავტომაგისტრალის მიმდებარე ფერდობზე, უშუალოდ დადიანების საბანაო ადგილამდე ისტორიული ჩასასვლელი ბილიკის საწყისი წერტილის მოპირდაპირედ (იხ. „აბაშის წყლის კანიონის“ ტურისტული ინფრასტრუქტურის გენერალური გეგმის კონცეფცია). ვიზიტორთა ცენტრის შენობა მრავალმხარისიანია და მასში მოხვედრა შესაძლებელი იქნება, როგორც უშუალოდ ავტომაგისტრალიდან, ასევე ქვედა იარუსიდანაც, რომელსაც დაუკავშირდება საპროექტო ჩასასვლელი საავტომობილო გზა. ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ მოეწყობა ორიარუსიანი ავტოსადგომი ცენტრალური მაგისტრალის და ჩასასვლელი გზის დონეზე, რომელიც განკუთვნილი იქნება მსუბუქი ავტომობილებისა და მიკროავტობუსებისათვის. დიდი ზომის საექსკურსიო ავტობუსებით მოსული დამთვალიერებლების მიღება მოხდება ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ განთავსებულ ჩამოსასხდომ ბაქანზე, რის შემდეგაც ავტობუსები გადაიყვანება სპეციალურად მათთვის განკუთვნილ ავტოსადგომზე.

მარშრუტის სახმელეთო ნაწილი წრიულია. ვიზიტორთა ცენტრიდან ის მიემართება დადიანების საბანაო ადგილამდე. ამ მონაკვეთზე ვიზიტორები გადაადგილდებიან ისტორიულ, გათლილი ქვის საფეხურებით მოპირკეთებული ბილიკის გასწვრივ. ბილიკი დაზიანებულია და საჭიროებს აღდგენას.

საბანაო ადგილიდან მარშრუტი მიემართება კასკადური წყალვარდნილისაკენ. ამ მონაკვეთზე იგეგმება ახალი საფეხმავლო ბილიკის მოწყობა უშუალოდ კანიონის კიდეზე (კარნიზზე). კარნიზის ბილიკი უშუალოდ წყალვარდნილის სიახლოვეს გადაიზრდება კონსოლურ პანორამულ პლატფორმაში. ზემოთაღნიშნული ბილიკი სრულდება ეთნოგრაფიულ უბანთან, სადაც ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ წყლის წისქვილი და საკალმახე.



ეთნოგრაფიული უბნის მიმდებარედ განთავსებულია სარეკრეაციო (დასასვენებელი) ზონა. აქ იგეგმება დასასვენებელი სკამების, საჩრდილობლების და ღია ამფითეატრის განთავსება ეკოსაგანმანათლებლო ლექციებისათვის.

სარეკრეაციო ზონიდან მიწისზედა საფეხმავლო ბილიკი მიემართება უკან ვიზიტორთა ცენტრის პარკინგისაკენ. აღსანიშნავია, რომ ეს ბილიკი გაივლის აგრეთვე დიდი ავტობუსებისათვის განკუთვნილ სპეციალურ პარკინგსაც, სადაც შესაძლებელია საექსკურსიო ავტობუსებით მოსული დამთვალიერებლების ჩასხდომა ტრანსპორტში.

იგეგმება ბილიკების, ეთნოგრაფიული უბნის, სარეკრეაციო ზონის და კანიონის ღირსშესანიშნავი ხედების განათება, რაც ვიზიტორების დღე-ღამის ბნელ პერიოდში მიღების საშუალებას მოგვცემს.

აღსანიშნავია, რომ უკან დასაბრუნებელი ბილიკი გაივლის არსებული სასაფლაოს სიახლოვეს. წინამდებარე კონცეფცია ითვალისწინებს მის გარშემო დეკორატიული ღობის მოწყობას, რომელიც დაფარავს სასაფლაოს ხედს.

## 2.2 საწყალოსნო ნაწილი

საწყალოსნო ნაწილი სათავეს იღებს ეთნოგრაფიული კუთხის მიმდებარედ განთავსებული ნავმისადგომიდან და შედგება ორი მონაკვეთისაგან, რომლებიც გამოყოფილია ერთმანეთისაგან საწყალოსნო ტრანსპორტისათვის გაყვანილი მცირე ზომის წყალვარდნილებით (იხ. გენერალური გეგმის კონცეფცია). ორივე მონაკვეთის სათავეში ეწყობა ნავმისადგომები ვიზიტორთა საწყალოსნო ტრანსპორტში ჩასასხდომად. I ნავმისადგომი (დინების ქვედა ნაწილში) განკუთვნილია ბორნებისათვის და შესაბამისად ამ მონაკვეთზე ვიზიტორთა გადაადგილება განხორციელდება ბორნებით, რაც საშუალებას გვაძლევს მოვემსახუროთ ვიზიტორთა ფართო წრეს. აღნიშნულ ნავმისადგომთან იგეგმება ასევე დეკორატიული გადასახედი კიდული ხიდის და ბორნების შესანახი ფარდულის მოწყობა. I მონაკვეთზე გადაადგილებისას ვიზიტორებს შესაძლებლობა ექნებათ დაათვალიერონ ნამარხი ცხოველების ანაბეჭდები.



I მონაკვეთის ბოლოს იგეგმება მცირე ზომის ჩამოსასხდომი პირსი, სადაც შესაძლებელი იქნება ვიზიტორთა ნაწილის ბორნიდან ჩამოსვლა და სახმელეთო ბილიკით II მონაკვეთზე გადასვლა. დანარჩენი ვიზიტორები იმავე ბორნით ბრუნდებიან უკან, მარშრუტის სახმელეთო ნაწილისაკენ. წყალმენხერობის პერიოდში I მონაკვეთის შეუფერხებელი ექსპლოატაციისათვის განვიხილავთ ასევე მცირე ზომის ხელოვნური დამბის მოწყობას მის დასაწყისში.

საწყალოსნო ნაწილის II მონაკვეთზე ვიზიტორთა გადაადგილება განხორციელდება შედარებით მცირე ზომის კანოეს ტიპის ნავებით. ნავებში ჩასხდომა განხორციელდება მონაკვეთის დასაწყისში განთავსებული ნავმისადგომიდან, რომლის მიმდებარედაც იგეგმება ასევე ნავების შესანახი ფარდულის მშენებლობა. II მონაკვეთზე ვიზიტორები დაათვალიერებენ დადიანების საქეიფო ადგილს და წყალგარდნილს საწყალოსნო მონაკვეთის ბოლოს, რის შემდეგაც დაბრუნდებიან უკან იმავე ნავით. საწყალოსნო ნაწილის II მონაკვეთი უფრო ექსტრემალურია და მოემსახურება ვიზიტორთა შედარებით ვიწრო წრეს.

როგორც ბორნები (I მონაკვეთი), ასევე კანოეს ტიპის ნავები (II მონაკვეთი) აღიჭურვება ელექტრომოტორიანი ძრავებით დინების საწინააღმდეგოდ ცურვის გასაიოლებლად.

გათვალისწინებულია აგრეთვე, მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის და მის გასწვრივ არსებული ღირსშესანიშნაობების მხატვრული განათება ვიზიტორების დღე-ღამის ბნელ პერიოდში მომსახურების უზრუნველსაყოფად.

### 3. ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების დახასიათება

პუნქტ 2-ში აღწერილი ტურისტული მარშრუტის კონცეფციის შესაბამისად იკვეთება ინფრასტრუქტურის განვითარების შემდეგი ძირითადი ობიექტები:

– ვიზიტორთა ცენტრის შენობა;



- ავტოსადგომები მსუბუქი მანქანებისა და საექსკურსიო ავტობუსებისათვის ცენტრალური მაგისტრალიდან ჩასასვლელი საავტომობილო გზით;
- საბანაო ადგილზე ჩასასვლელი არსებული ისტორიული ბილიკი;
- კარნიზის ბილიკი საბანაო ადგილიდან ეთნოგრაფიულ უბნამდე, პანორამული გადასახედი პლატფორმებით ორკასკადიან ჩანჩქერზე;
- ეთნოგრაფიული უბანი;
- სარეკრეაციო (დასასვენებელი) ზონა ეთნოგრაფიული უბნის მიმდებარედ;
- უკან დასაბრუნებელი საფეხმავლო ბილიკი სარეკრეაციო ზონიდან ვიზიტორთა ცენტრამდე (საექსკურსიო ავტობუსების პარკინგის გავლით);
- მთავარი საბორნე პირსი მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთის (დინების ქვედა ნაწილში) დასაწყისში, ეთნოგრაფიული უბნის მიმდებარედ;
- ბორნები და მათი შესანახი ფარდული;
- ნამარხი ცხოველების ანაბეჭდების დასათვალიერებელი პლატფორმა საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთზე;
- საბორნე პირსი მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთის ბოლოს;
- საფეხმავლო ბილიკი - გადასასვლელი საწყალოსნო ნაწილის I და II მონაკვეთებს შორის;
- ნავმისადგომი კანოეს ტიპის ნავეებისათვის მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის II მონაკვეთის (დინების ზედა ნაწილში) დასაწყისში;
- კანოეს ტიპის ნავეები და მათი შესანახი ფარდული;
- კანიონის ღირსშესანიშნობათა მხატვრული განათება მარშრუტის გასწვრივ;
- დეკორატიული დობე არსებული სასაფალაოს ირგვლივ.



ქვემოთ დავახასიათებთ თითოეულ ობიექტს ცალ-ცალკე კონცეფციას თან ერთვის ინფრასტრუქტურის ძირითადი ობიექტების თვალსაჩინო გამოსახულებები (სამგანზომილებიანი ვიზუალიზაცია).

### 3.1 ვიზიტორთა ცენტრის შენობა

ვიზიტორთა ცენტრის განთავსება იგეგმება მარტვილი-ჩხოროწყუს ავტომაგისტრალის მიმდებარედ, გზისპირა ფერდობზე. შენობა გეგმაში რთული ფორმისაა და განთავსებულია ორ იარუსზე ფერდობის ქანობის მიმართულებით.

ვიზიტორთა ცენტრის შენობის საერთო ფართი შეადგენს დაახლოებით 490მ<sup>2</sup>-ს, საზაფხულო ფართის (ღია ტერასა) ჩათვლით. მასში განთავსებულია შემდეგი ძირითადი ფუნქციონალური ერთეულები:

- ვიზიტორთა მომსახურების ნაკვეთური, საერთო ფართით დაახლოებით 60მ<sup>2</sup>, რომელიც მოიცავს შესასვლელ კოლს, საინფორმაციო ცენტრის და საღაროს დახლს, საპირფარეშოების ბლოკს ვიზიტორთათვის;
- საგამოფენო დარბაზი, საერთო ფართით დაახლოებით 200მ<sup>2</sup>. საგამოფენო სივრცეში იგეგმება ინტეგრირებული ექსპოზიციის განთავსება რეგიონის ბუნებრივი რესურსების, პალეონტოლოგიური და ეთნოგრაფიული თემატიკით;
- ადმინისტრაციული ბლოკი საერთო ფართით დაახლოებით 65მ<sup>2</sup>, რომელიც მოიცავს დირექტორის კაბინეტს, საოფისე ოთახებს და სველ წერტილებს ადმინისტრაციისათვის;
- სწრაფი კვების ობიექტი – კაფეტერია – საერთო ფართით დაახლოებით 165მ<sup>2</sup>. მოიცავს დახურულ დარბაზს, გადახურულ ტერასას, ხედით კანიონზე და სამზარეულოს.

შენობის ფასადი იგეგმება შესრულდეს მონოლითური დეკორატიული ბეტონით და შემინული ფასადის სისტემებით. შენობის ნაკვეთურების ტერასული განლაგება მომგებიანია მისი ფერდობის რელიეფთან ორგანული შერწყმის



თვალსაზრისით. დიდი ფორმატის შემინული ფასადის სისტემების გამოყენება უზრუნველყოფს დღის სინათლის ეფექტურ გამოყენებას და ასევე საინტერესო ხედებს შენობის ინტერიერიდან კანიონზე.

### 3.2 ავტოსადგომები და ცენტრალური მაგისტრალიდან ჩასასვლელი საავტომობილო გზა

იგეგმება ორი ავტოსადგომის მოწყობა ტურისტული კომპლექსის ტერიტორიაზე, რომელთაგან ერთ-ერთი განკუთვნილია მსუბუქი ავტომანქანებისა და მიკროავტობუსებისათვის, ხოლო მეორე დიდი საექსკურსიო ავტობუსებისათვის. მსუბუქი ავტომანქანების სადგომი ორიარუსიანია და განთავსებულია უშუალოდ ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარედ. პირველი (ზედა) იარუსი მდებარეობს მარტვილი-ჩხორთოწყუს ავტომაგისტრალის დონეზე და მასზე შესვლა ხორციელდება უშუალოდ ავტომაგისტრალიდან. მეორე (ქვედა) იარუსი მდებარეობს ავტომაგისტრალის მიმდებარე ფერდობზე და მასში შესვლა ხორციელდება მაგისტრალიდან ჩასასვლელი საავტომობილო გზით. ამავე გზით ხდება შესვლა დიდი საექსკურსიო ავტობუსების პარკინგზეც, რომელიც ვიზიტორთა ცენტრიდან 70-80მ-ის მოშორებით მდებარეობს. ვიზიტორთა ცენტრთან ეწყობა ასევე სპეციალური ბაქანი დამთვალიერებელთა საექსკურსიო ავტობუსებიდან ჩამოსასხლომად, მათი სპეციალურ პარკინგზე გადაყვანამდე როგორც ავტოსადგომების, ასევე მაგისტრალიდან ჩასასვლელი საავტომობილო გზის და ბაქნების საფარი დაგეგმილია შესრულდეს ბუნებრივი ქვის (გრანიტი) ქვაფენილით. ტერასების ფორმირება განხორციელდება მონოლითური რკინაბეტონის საყრდენი კედლებით, რომლებიც შემდგომში მოპირკეთდება ადგილობრივი კირქვის ყორე-წყობით.

### 3.3 საბანაო ადგილზე ჩასასვლელი არსებული ისტორიული ბილიკი

აღნიშნული ბილიკი იწყება ვიზიტორთა ცენტრის მიმდებარე ტერიტორიიდან და მიემართება დადიანების საბანაო ადგილამდე. ბილიკი



ისტორიულია. მისი საფარი სწორ მონაკვეთებზე გრუნტისაა, ხოლო ქანობიან მონაკვეთებზე მოკირწყლულია ქვისგან გამოთლილი კიბის საფეხურებით. ბილიკი ამჟამად დაზიანებულია და მოითხოვს შეკეთებას. იგეგმება ბილიკის განთავისუფლება მცენარეულობისაგან და გრუნტის საფარის მოსწორება. ქანობიან მონაკვეთებზე აღდგება გათლილი ქვის საფეხურები, რომლებიც მრავალ ადგილას დაზიანებულია. ვიზიტორთა გადაადგილების უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად, როგორც გრუნტის საფარიან ნაწილში, ასევე კიბეებთან მოეწყობა მოაჯირები. მოაჯირები იგეგმება შესრულდეს ხის კონსტრუქციებისაგან (მორები, ძელები), რათა შევინარჩუნოთ ბილიკის ისტორიული იერსახე. იგეგმება ასევე ბილიკის განათება საფარში და კიბეებში ინსტალირებული სანათებით.

#### 3.4 ბილიკი კანიონის კარნიზის გასწვრივ დადიანების საბანაო ადგილიდან ეთნოგრაფიულ უბნამდე

ზემოთაღნიშნული ბილიკი სათავეს იღებს დადიანების საბანაო ადგილიდან და მიუყვება კედლის კიდე (კარნიზს). ამ ბილიკით ვიზიტორები გადაადგილდებიან საბანაო ადგილიდან კასკადური ჩანჩქერისაკენ და შემდგომ ეთნოგრაფიული უბნისაკენ. ბილიკის მთელს სიგრძეზე ვიზიტორებს საშუალება ეძლევათ დაათვალიერონ კანიონი ზემოდან. ბილიკის საფარი იგეგმება შესრულდეს დეკორატიული მონოლითური ბეტონისაგან. ბილიკი აღჭურვილი იქნება უსაფრთხოების მოაჯირით კანიონის მხრიდან. მოაჯირი ნაწილობრივ შესრულებულია დეკორატიული ბეტონით, ხოლო ნაწილობრივ გამჭვირვალე მინის ფილებით. ბეტონისა და მინის მასალის მონაცვლეობა გვაძლევს კარგ ვიზუალურ ეფექტს. იგეგმება ბილიკის განათება სავალ ნაწილში ინსტალირებული სანათებით. კასკადურ ჩანჩქერთან მიახლოებისას ბილიკი გადაიზრდება პანორამულ კონსოლურ გადასახედ პლატფორმაში, რომელზედაც შესაძლებელი იქნება ვიზიტორთა შეჩერება და ჩანჩქერის ხედების დათვალიერება. პანორამული გადასახედი იერსახე იგივეა და ის ფაქტიურად წარმოადგენს ბილიკის კონსოლით გაფართოებულ ნაწილს.



### 3.5 ეთნოგრაფიული უბანი

ეთნოგრაფიული უბანი განთავსებულია კარნიზის ბილიკის ბოლოს და მოიცავს წყლის წისქვილს და მცირე ზომის საკალმახეს. ორივე ეს ნაგებობა არსებულია, მაგრამ მოითხოვს რეკონსტრუქცია-შეკეთებას. იგეგმება წყლის წისქვილის ქვის ნაგებობის ხის ნაგებობით შეცვლა და მისი მკვეთრი წყლის არხის რეაბილიტაცია. რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციას განიცდის ასევე საკალმახეც. ორივე ნაგებობის რეკონსტრუქციისას გამოყენებული იქნება რეგიონისათვის დამახასიათებელი, ტრადიციული სამშენებლო მასალები და ტექნოლოგიები.

### 3.6 სარეკრეაციო (დასასვენებელი) ზონა

სარეკრეაციო (დასასვენებელი) ზონა იგეგმება განთავსდეს ეთნოგრაფიული უბნის მიმდებარედ. აქ განთავსდება დასასვენებელი სკამები და საჩრდილობლები ვიზიტორთათვის. იგეგმება აგრეთვე ღია ამფითეატრის მოწყობა ეკოსაგანმანათლებლო ლექციებისათვის 25-30 მსმენელზე. ზემოთაღნიშნული ნაგებობების აგებისას გამოყენებული იქნება ბუნებრივი, რეგიონისათვის ტრადიციული სამშენებლო მასალები (ხე, კირქვა და სხვა), რაც უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ შერწყმას ლანდშაფტთან.

### 3.7 ბილიკი სარეკრეაციო ზონიდან ვიზიტორთა ცენტრამდე

ზემოთაღნიშნული ბილიკი განკუთვნილია დამთვალიერებელთა უკან დასაბრუნებლად კანიონიდან ვიზიტორთა ცენტრში. ბილიკის საფარი შესრულდება ბუნებრივი ფლეთილი ქვისაგან. იგეგმება ბილიკის საგალი ნაწილის განათება.



### 3.8 მთავარი საბორნე პირსი მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთზე

ზემოთაღნიშნული საბორნე პირსი ეწყობა ეთნოგრაფიული უბნის მიმდებარედ. პირსი კეთილმოწყობილია ხის ძელების საფარით და იძლევა ვიზიტორთა ფართო წრის მომსახურების საშუალებას. იგეგმება პირსის განათება, მისი ღამის საათებში ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად.

### 3.9 ბორნები და მათი შესანახი ფარდული

ბორნები განკუთვნილია მარშრუტის საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთზე ვიზიტორთა გადასაადგილებლად. ბორნები კომფორტულია ჩასასხდომად და გადმოსასვლელად და აქედან გამომდინარე განკუთვნილია ვიზიტორთა ფართო წრის მომსახურებისათვის. ისინი აღჭურვილი იქნება აკუმულირებულ ენერგიაზე მომუშავე ელექტროძრავებით. იგეგმება მარშრუტის 2 ასეთი ბორნით დაკომპლექტება. მათი მომსახურებისა და შენახვისათვის წყალმოვარდნის პერიოდებში ჩასასხდომი პირსის მიმდებარედ ეწყობა სპეციალური სამეურნეო ფარდული. ფარდული აღიჭურვება ბორნის ამოსატანი ჯალამბართით და აკუმულატორების დასამუხტი მოწყობილობით.

### 3.10 ნამარხი ცხოველების ანაბეჭდების დასათვალიერებელი პლატფორმა

საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთზე განთავსებული ნამარხი ცხოველების ანაბეჭდების ადგილას იგეგმება დასათვალიერებელი პლატფორმის მოწყობა, რომელიც წარმოადგენს მცირე ზომის ფიცარნაგს. დამთვალიერებელთა გადმოსვლა ფიცარნაგზე მოხდება ბორნებიდან. უხვწყლიანობის პერიოდში (როდესაც ანაბეჭდი იფარება წყლით) ანაბეჭდების დათვალიერების უზრუნველსაყოფად ეწყობა სპეციალური დამცავი კესონი.

ღამის პერიოდში დათვალიერებისათვის გათვალისწინებულია ანაბეჭდის განათება.



### 3.11 საბორნე პირსი საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთის ბოლოს

ზემოთაღნიშნული პირსი ეწყობა საწყალოსნო ნაწილის I მონაკვეთიდან II მონაკვეთზე დამთვალიერებელთა გადასაყვანად. ამ პირსის ფენილი აგრეთვე შესრულება ხის ძელებით. გათვალისწინებულია პირსის განათება ღამის პერიოდში ექსპლოატაციისათვის.

### 3.12 საფეხმავლო ბილიკი-გადასასვლელი საწყალოსნო ნაწილის I და II მონაკვეთებს შორის

ზემოთაღნიშნული ბილიკი განკუთვნილია ვიზიტორთა უსაფრთხოდ გადასაყვანად I და II მონაკვეთებს შორის არსებულ მცირე ზომის წყალგარდნილებზე. ბილიკს გააჩნია აგრეთვე მცირე ზომის გადასასვლელი ბოგირებიც, რომელთათვისაც გამოიყენება ლითონის და ხის კონსტრუქციები. გადასასვლელები განათებული იქნება ღამის პერიოდში.

### 3.13 ნავმისადგომი კანოეს ტიპის ნაგებისათვის საწყალოსნო ნაწილის II ნაწილის დასაწყისში

ზემოთაღნიშნული ნავმისადგომი განთავსებულია II მონაკვეთის დასაწყისში პუნქტ 3.12-ში მოცემული ბილიკის ბოლოს. ის განკუთვნილია ვიზიტორთა შედარებით ვიწრო წრის კანოეს ტიპის ნაგებში ჩასასხდომად II მონაკვეთზე გადაადგილებისათვის. ნავმისადგომი შესრულებულია ლითონის კონსტრუქციებით და ხის ძელების ფენილით. იგეგმება მისი განათება ღამის პერიოდში ექსპლოატაციისათვის.

### 3.14 კანოეს ტიპის ნაგები და მათი შესანახი ფარდული

კანოეს ტიპის ნაგები განკუთვნილია ვიზიტორთა შედარებით ვიწრო წრის გადასაადგილებლად საწყალოსნო ნაწილის II მონაკვეთზე. ნაგები აღჭურვილი



იქნება აკუმულირებულ ენერგიაზე მომუშავე ელექტროძრავებით. კანოების მომსახურებისა და წყალმომარაგების პერიოდში დასაწყობებისათვის II მონაკვეთის ნავმისადგომთან იგეგმება მცირე ზომის სამეურნეო ფარდულის მშენებლობა. ფარდული აღჭურვილი იქნება კანოების ამოსატანი ჯალამბართი და აკუმულატორების დასამუხტი მოწყობილობით.

### 3.15 კანიონის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული განათება

ტურისტული მარშრუტის დღე-ღამის ბნელ პერიოდში ექსპლოატაციის უზრუნველსაყოფად იგეგმება კანიონის ღირსშესანიშნაობათა მხატვრული განათება მარშრუტის გასწვრივ. ვფიქრობთ, განათება მეტად საინტერესოს გახდის კანიონში წარმოდგენილ ლანდშაფტის ხედებს. განათება შესრულდება სხვადასხვა სახის და ფერის სანათი პროექტორებით. რიგ ადგილებში ვგეგმავთ ე.წ. დინამიური განათების სისტემის დამონტაჟებას ცვალებადი ფერთა გამით და სინათლის ინტენსივობით.

### 3.16 დეკორატიული ღობე არსებული სასაფლაოს ირგვლივ

არსებული სასაფლაოს ვიზიტორთაგან იზოლირების მიზნით იგეგმება მის გარშემო დეკორატიული შემოღობვის მოწყობა. საპროექტო ღობე შერწყმული იქნება ლანდშაფტთან.